4876/4-2/22 2 31052022

4876/4-2/22
31-05-2022

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს პარლამენტში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, განიხილება ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ამნისტიის შესახებ“ და „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ (№07-3/90; 24.06.2021), რომლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან თავისუფლდებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ბრალდებული ან მსჯავრდებული არიან 2021 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248^1 და 359^1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ გვაცნობოთ, ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის რამდენ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რამდენი ფიზიკური პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მათგან, დღეის მდგომარეობით, რამდენია ბრალდებული და მსჯავრდებული, აგრეთვე, რამდენ საქმეზე დადასტურდა იურიდიული პირის მიერ აღნიშნული ქმედებების ჩადენის ფაქტი და როგორია გამოძიების შედეგები ამ საქმეებზე.

გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლების ჩადენილია ზემოთ დასახელებული ნორმების ამოქმედების შემდეგ, ანუ 2020 წლის 2 მაისიდან 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე